რაჭის მოსახლეობის დემოგრაფიული განვითარება (წარსული, აწმყო, მომავალი)

გიორგი მელაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

გიორგი ხომერიკი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის
ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი

აბსტრაქტი

რაჭა საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული მხარეა, რომელიც ქვეყნის თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტებისაგან შედგება. რაჭაში ამჟამად არსებული მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობის სათავეები, ათობით წლების მანძილზე მიმდინარე ნეგატიურ დემოგრაფიულ პროცესებში უნდა ვეძიოთ, რომელიც უმთავრესად მცირემიწიანობით, შეზღუდული ბუნებრივი პირობებით და გასული საუკუნის 90-იან წლებში, ცნობილი მოვლენების შედეგად საქართველოში განვითარებული უმწვავესი სოციალურ-ეკონომიკური პროცესებით იყო განპირობებული, რის შედეგადაც მკვეთრად შემცირდა მოსახლეობის საერთო რაოდენობა, შობადობა, პროგრესულად მიმდინარეობდა მოკვდაობის მატებისა და მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების პროცესი, ფართო მასშტაბებს მიაღწია ემიგრაციულმა პროცესებმა. რაჭაში ათობით წლების მანძილზე დამყარებულია მოსახლეობის უარყოფითი ბუნებრივი მატების რეჟიმი. დღესდღეობით რაჭის მოსახლეობის დემოგრაფიული პოტენციალი საკმაოდ დაბალია. აღნიშნულ პოტენციალზე დაყრდნობით გაკეთებული მოსახლეობის რაოდენობის პროგნოზული გაანგარიშებები პესიმისტურია. პროგნოზის საშუალო ვარიანტის მიხედვით, არსებული დემოგრაფიული მდგომარეობის მომავალში შენარჩუნების შემთხვევაში, 2024-2044 წწ. რაჭის მოსახლეობა 15.4 ათასი მცხოვრებიდან 8.4 ათასამდე შემცირდება.

წარმოდგენილ სტატიაში შესაბამის ოფიციალურ სტატისტიკურ ინფორმაციაზე და ავტორთა გაანგარიშებებზე დაყრდნობით, გაანალიზებულია რაჭის დემოგრაფიული მდგომარეობა წარსულში, აწმყოში და მომავლის პერსპექტივები.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, რაჭა, მოსახლეობა, შობადობა, მოკვდაობა, მიგრაცია, პროგნოზი

DEMOGRAPHIC DEVELOPMENT OF THE POPULATION OF RACHA (PAST, PRESENT, FUTURE)

Giorgi Meladze
Associate professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Giorgi Khomeriki
Scientist, Institute of Geography,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

Racha is one of Georgia's historical regions, which, according to the country's current administrative division, consists of the municipalities of Ambrolauri and Oni. The origins of the current acute demographic situation in Racha should be sought in the negative demographic processes that have been going on for decades,

which were mainly due to small landholdings, limited natural conditions and the most acute socio-economic processes that developed in Georgia as a result of the well-known events in the 90s of the last century, as a result of which the total population and fertility sharply decreased, the process of increasing mortality and demographic aging of the population was progressively ongoing, emigration processes reached large scales.

For decades, Racha has experienced negative natural population growth regime. Today, the demographic potential of Racha's population is quite low. The population projections based on this potential are pessimistic. According to the medium projection scenario if the current demographic situation continues in the future, in 2024-2044, the population of Racha will decrease from 15.4 thousand inhabitants to 8.4 thousand.

In the presented article, based on the relevant official statistical information and calculations of the authors, the demographic situation of Racha in the past, present and future is analyzed.

Key words: Georgia, Racha, population, fertility, mortality, migration, projection

თემის აქტუალობა

განუმეორებელი ბუნებით, მდიდარი სასარგებლო წიაღისეულით, თავისი საზღვრისპირა მდებარეობით და მოსახლეობის ტრადიციებით რაჭა საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მხარეა. მთიანი რაიონების დემოგრაფიული ვითარების ფორმირებაში და განვითარებაში ძირითად როლს სოციალურ-ეკონომიკური და ბუნებრივ-გეოგრაფიული ფაქტორები ასრულებენ, რომელთა ცვალებადობის მიმართ ამგვარი რაიონების დემოგრაფიული სისტემა განსაკუთრებული სენსიტიურობით ხასიათდება (მელაძე, ელიზბარაშვილი, 2008). მთებში არამდგრადი ბუნებრივი გარემოა, რაც რამდენიმე ფაქტორს უკავშირდება. ესენია: მაღალი ტემპერატურული ამპლიტუდა (რაც ფიზიკურ გამოფიტვას უწყობს ხელს), დაბალი წნევა, ექსპოზიციური სხვაობები, წყლისმიერი ეროზია, თოვლის დიდი საფარი, რელიეფის დახრილობა, ნიადაგის დაბალი ნაყოფიერება, საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების დაბალი დონე. ამის გამოა, რომ ადამიანის ზემოქმედების შედეგად, მთის ეკოსისტემები კარგავენ მდგრადობას და განიცდიან ძლიერ დეგრადაციას. მთებში შესუსტებულია ბუნებრივი გარემოს თვითაღდგენის მექანიზმებიც (ელიზბარაშვილი, მეესენი და სხვ., 2018). გასული საუკუნის 90-იანი წლების კატაკლიზმებმა ადგილობრივი ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის გაჩანაგება გამოიწვია, რის გამოც გაიზარდა უმუშევრობა, უკიდურესად შემცირდა მოსახლეობის შემოსავლები. შექმნილმა ვითარებამ კატალიზატორის როლი შეასრულა ისედაც უკვე არსებული მძიმე დემოგრაფიული ვითარების კიდევ უფრო გაუარესებაში. მაღალ მასშტაბებს მიაღწია ემიგრაციულმა პროცესებმა. საგრძნობლად გაუარესდა მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაჩვენებელი. 1990-2025 წლებში პრაქტიკულად განახევრდა რაჭის მოსახლეობა. 2025 წელს მხარის მოსახლეობის რაოდენობა 15.3 ათასს შეადგენდა. ქალაქისა და სოფლის მოსახლეობა, შესაბამისად, 43.9 და 53.6%-ით შემცირდა. აბსოლუტურ მონაცემებში ქალაქის მოსახლეობის რაოდენობა სულ 4.4 ათასი მცხოვრების ტოლი იყო, სოფლის მოსახლეობამ კი 10.9 ათასი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ მე-19 საუკუნის მიწურულს (1897 წ.) რაჭაში 60.4 ათასი ადამიანი ცხოვრობდა. კატასტროფულადაა შემცირებული მოსახლეობის სიმჭიდროვის მაჩვენებელი. 1990 წელს რაჭაში 1 კვ. კმ-ზე 12 ადამიანი ცხოვრობდა, 2025 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 6 ადამიანს შეადგენდა. პროგნოზის სამივე ვარიანტის (დაბალი, საშუალო და მაღალი) მიხედვით, მოსალოდნელია მოსახლეობის კლება.

არსებული დემოგრაფიული სიტუაციიდან და მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე, რაჭა „მომაკვდავ“ რეგიონთა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ, სადაც სახელმწიფოს მხრიდან გადამჭრელი ღონისძიებების გატარების გარეშე ვითარების გამოსწორება ურთულესი ამოცანა იქნება.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს არსებული სტატისტიკური მასალების საფუძველზე, რაჭაში და მის ორ მუნიციპალიტეტში (ამბროლაური და ონი), მიმდინარე დემოგრაფიული პროცესების რადიკალური ცვლილებების გამომწვევი დემოგრაფიული პარამეტრების (შობადობა, მოკვდაობა, მიგრაცია) განხილვა-

ანალიზი მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან დღემდე. დემოგრაფიული ვითარების დეტალური შესწავლისათვის, მოსახლეობის დემოგრაფიული მაჩვენებლების განხილვა ქალაქ-სოფლის ჭრილში. დემოგრაფიული პერსპექტივების განსაზღვრის მიზნით რაჭის, აგრეთვე ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის რაოდენობის პროგნოზული გაანგარიშებები.

კვლევის მეთოდები

გამოკვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, მოსახლეობის საყოველთაო აღწერებისა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მასალების შესწავლისა და ანალიზისათვის გამოყენებულია: აღწერილობითი, ისტორიული, შედარებითი, სტატისტიკური ანალიზისა და შეფასების მეთოდები.

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის – შობადობის, მოკვდაობის და ბუნებრივი მატების კოეფიციენტებთან ერთად, გაანალიზებულია პოკროვსკი-პირლის ინდექსი (იგივე ცხოველმყოფელობის ინდექსი). ეს უკანასკნელი გვიხასიათებს მოსახლეობის აღწარმოებას და გვიჩვენებს თუ რამდენი დაბადებული შეესაბამება ერთ გარდაცვლილ ადამიანს. იგი ფორმულის სახით შემდეგნაირად გამოისახება:

$$K = \frac{N}{M}K$$

სადაც: K არის პოკროვსკი-პირლის ინდექსი; N – დაბადებულთა რაოდენობა; M – გარდაცვლილთა რაოდენობა.

იმ შემთხვევაში, როდესაც ინდექსის მნიშვნელობა აღემატება 1-ს, ახალი თაობა მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ხარჯზე (შობადობის და მოკვდაობისა თანაფარდობა) აღემატება წარმავალ თაობას, წინააღმდეგ შემთხვევაში თაობათა განახლება არ ხდება.

შობადობის პროცესის სიღრმისეული შესწავლისათვის გამოყენებულია შვილიანობის ინდექსი, რომელიც გვიჩვენებს 0-4 წლის ბავშვების რაოდენობას, ყოველ 20-49 წლის 1000 ქალზე. რეგიონების დონეზე აღნიშნული კოეფიციენტის გასაანგარიშებლად საჭირო ინფორმაციას მოსახლეობის აღწერები იძლევა.

შვილიანობის ინდექსის გასაანგარიშებელ ფორმულას შემდეგი სახე აქვს:

$$Q_{0-4} = \frac{S_{0-4}}{W_{20-49}} \times 1000$$

სადაც: S_{0-4} არის 0-4 წლის ასაკის ბავშვების რაოდენობა; W_{20-49} –20-49 წლის ასაკის ქალების რაოდენობა.

რაჭის მოსახლეობის პროგნოზული გაანგარიშებები ეფუძნება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ ოფიციალურ და ავტორთა გაანგარიშებით მიღებულ (მიგრაციის შემთხვევაში) მონაცემებს. გაანგარიშებების საფუძველში ჩადებულია მოსახლეობის ბუნებრივი მატების სხვადასხვა ვარიანტის უცვლელობის ჰიპოთეზა, რომელიც ფორმულის სახით შემდეგნაირად გამოიხატება:

$$P_1 = P_0 \times e^{k \times t}$$

სადაც: P_1 არის მოსახლეობის საერთო რაოდენობა საპროგნოზო პერიოდის ბოლოსათვის; P_0 – მოსახლეობის საერთო რაოდენობა საპროგნოზო პერიოდის დასაწყისში; k – მოსახლეობის სავარაუდო კოეფიციენტი საპროგნოზო პერიოდში, რომელიც წარმოადგენს მოსახლეობის ბუნებრივი მატებისა (შობადობისა და მოკვდაობის სხვაობა) და წმინდა მიგრაციის (მიგრაციის სალდო) ჯამს;
e – ნატურალური ლოგარითმის ფუძე.

ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია მუნიციპალიტეტების დონეზე მოსახლეობის მიგრაციის შესახებ არ მოგვეპოვება. შექმნილ ვითარებაში შესაძლებელია ამ უკანასკნელის ირიბი მეთოდით გაანგარიშება. აღნიშნული მეთოდის შინაარსი შემდგომში მდგომარეობს, თუკი ცნობილია მოსახლეობის რაოდენობა საკვლევი პერიოდის დასაწყისში და ბოლოს, აგრეთვე არსებობს მონაცემები საკვლევ პერიოდში, მოსახლეობის ბუნებრივი მატების (დაბადებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობათა სხვაობა) შესახებ, შესაძლებელია წმინდა მიგრაციის (მიგრაციის სალდოს) გამოთვლა. ზემოაღნიშნული მათემატიკურად შემდეგნაირად შეიძლება ჩაიწეროს:

$$M = P_1 - P_0 - NI$$

სადაც: M არის წმინდა მიგრაცია (მიგრაციის სალდო); P_1 – მოსახლეობის საერთო რაოდენობა პერიოდის ბოლოს; P_0 – მოსახლეობის

საერთო რაოდენობა პერიოდის დასაწყისში; NI – მოსახლეობის ბუნებრივი მატება საანგარიშო პერიოდში.

ძირითადი შედეგები

რაჭის დემოგრაფიული წარსულიდან

სტატისტიკური მონაცემები რაჭის მოსახლეობის შესახებ მე-19 საუკუნემდე ძალიან მწირია. არსებობს რამდენიმე ისტორიული ცნობა, რომელთა მიხედვითაც მხოლოდ დაახლოებითი წარმოდგენა შეიძლება ვიქონიოთ რაჭის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ. ი. გიულდენშტედტის ცნობის მიხედვით – რომელმაც 1772 წელს იმოგზაურა რაჭაში – რაჭაში, იყო 112 სოფელი და შესაძლებელი იყო 5600 მეომრის გამოყვანა (გიულდენშტედტის მოგზაურობა..., 1962). ი. ფონ კლაპროთის ცნობით, მე-19 საუკუნის პირველ წლებში რაჭის მოსახლეობა დაახლოებით 5000 კომლს შეადგენდა (Klaproth, 1814).

საქართველოში რუსეთის წარმომადგენლის ა. მოურავოვის (თარხან-მოურავი) ინფორმაციით, რაჭაში 3-5 ათასი კომლი ცხოვრობდა (მაჭარაძე, 1988). მე-19 საუკუნის ცნობების თანახმად, რაჭაში კომლის საშუალო სიდიდე 7 კაცს უდრიდა, მასასადამე 1769 წელს რაჭაში მაქსიმუმ 35 ათას კაცს უნდა ეცხოვრა (თოთაძე, 2013). 1817 წლის 17 ივნისით დათარიღებულ ცნობაში, რომელსაც ხელს აწერს იმჟამინდელი იმერეთის დროებითი მმართველი, გენერალ-მაიორი ნ. მ. ხატუნცოვი (1775 – 1818 წწ.) აღნიშნულია, რომ რაჭაში ცხოვრობდა 2940 კომლი (Акты собранные …, 1874). თუკი მხედველობაში მივიღებთ რაჭაში კომლის წევრების იმჟამინდელ რაოდენობას (რაც, სავარაუდოდ, საშუალოდ 7 ადამიანს შეადგენდა), იმერეთის დროებითი მმართველის ცნობაში აღნიშნულ რიცხვზე დაყრდნობით, რაჭის მოსახლეობა 20580 მცხოვრების ტოლი უნდა ყოფილიყო.

საფრანგეთის კონსულის ჟაკ ფრანსუა გამბას მონაცემებით, 1821 წელს რაჭაში 20774 კაცი ცხოვრობდა, ხოლო სახლების (კომლთა) რაოდენობა 2967-ს შეადგენდა (ჟაკ ფრანსუა გამბა.., 1987).

ჩვენს ხელთ არსებული სტატისტიკური მასალების მიხედვით, რაჭის მოსახლეობის რაოდენობა ისტორიულ წარსულში შემდეგნაირად იცვლებოდა (იხ. ნახაზი 1). 1770-1832 წლებში რაჭის

ნახაზი 1

რაჭის მოსახლეობის დინამიკა 1770-1917 წლებში



წყარო: ჯაოშვილი, 1996; Свод статистических данных.., 1893; Кавказский Календарь…, 1914; ფერაძე, 1921.

მოსახლეობის საერთო რაოდენობა 3.3 ათასით გაიზარდა. დაფიქსირებული ფაქტი გამოწვეული იყო არასტაბილური პოლიტიკური ვითარებით. 1819-1820 წლებში იმერეთში რუსეთის პოლიტიკის წინააღმდეგ ანტიკოლონიურმა სახალხო აჯანყებამ იფეთქა, რომელმაც რაჭაც მოიცვა. ეს უკანასკნელი რაჭის ოკრუგის სახელწოდებით, იმერეთის ოლქის შემადგენლობაში შედიოდა. 1820 წელს აჯანყება ჩაახშეს და დამარცხებულები სასტიკად დასაჯეს. 1811 წელს მთელ საქართველოში გავრცელდა შავი ჭირის ეპიდემია და, როგორც ჩანს, იგი რაჭაშიც მძვინვარებდა (თოთაძე, 2013). დაფიქსირებული ფაქტი ბუნებრივია შეანელებდა მოსახლეობის გამრავლებას.

მთიანი რელიეფის, სახნავი მიწებისა და რაჭის საერთო ფართობის სიმცირის გამო, ისტორიულ წარსულში მოსახლეობა იძულებული იყო – რიგ შემთხვევებში ოჯახებთან ერთად, წინაპართა საცხოვრებელი ადგილებიდან, არცთუ იშვიათად საქართველოს ფარგლებს გარეთაც გადასულიყვნენ საცხოვრებლად. აღნიშნულ პრობლემას მე-19 საუკუნეში ყურადღება მიაქცია ი. ჭავჭავაძემ, რომელიც ჯერ კიდევ 1886 წელს წერდა, „ჩვენს ცხოვრებაში ამ ბოლო ხანებში თავი იჩინა ერთმა მოვლენამ, რომელსაც ჯერ ფართო გზა არ გახსნია და ამის გამო ჯერ ყურადღება საზოგადოებისა და მთავრობისა არ მიუქცევია. ეს მოვლენა, თუმცა ჯერ კანტიკუნტად, აქა-იქ იჩენს თავს, მაგრამ მუდამი მიზეზი, რომელიც მას იწვევს, ისეთია, რომ დღითი-დღე მეტს ადგილს დაიჭერს ჩვენს ქვეყანაში და დღითი-დღე უფრო გაძლიერდება. ჩვენ ვამბობთ მამა-პაპის ადგილიდამ აყრაზედ და სხვაგან გახიზვნვაზედ მამულების საშოვრად, უმთავრესი მიზეზი ამისთანა მოვლენისა ყველგან ერთი და იგივე ყოფილა: გამრავლება ხალხისა და ვიწროობა ადგილ-მამულისა... ამ მოვლენამ ყველაზედ უწინ თუ არა, ყველაზედ შესამჩნევად მაინც თავი იჩინა რაჭაში: – აყრა, მამულის ბინის მოშლა და სხვაგან გადასახლება აქ დაიწყო იმ ზომით, რომ შეუძლებელია კაცმა ყური არ ათხოვოს“ (ჭავჭავაძე..., 1957).

რაჭის მოსახლეობისათვის ტრადიციული იყო გარე სამუშაოზე სიარული, რასაც „მოსაგებში“ წასვლას უწოდებდნენ. გარე სამუშაოზე რაჭველი გლეხები გვიან შემოდგომაზე მიდიოდნენ და გაზაფხულზე, მიწის სამუშაოების დაწყების დროისათვის ბრუნდებოდნენ. XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან, რაჭველების გარე სამუშაოზე სიარული საქართველოს ფარგლებს გასცდა, ისინი ჩრდილოეთ კავკასიაში და უფრო შორსაც მიდიოდნენ. აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში გადასული ბევრი რაჭველი უკან აღარ დაბრუნებულა, საცხოვრებლად იქ დარჩა (საქართველოს ეთნოგრაფია.., 2010).

აღნიშნულ მოვლენასთან დაკავშირებით ს.მაკალათია წერდა: „...მთის რაჭა ღარიბი კუთხეა, სადაც გლეხს მოჭარბებული და ზედმეტი სარჩო არ მოეპოვება, რომ ბაზარზე გაიტანოს და თავისი მრავალი ნაკლუვანება შეივსოს. მაგრამ ამავე დროს მისი მომრავლებული მოსახლეობა არსებობის ახალი წყაროების ძიებაშია (მაკალათია..., 1987). რიონის ეს ვიწრო ხეობა მაინც ვერ იტევს მთის ამ შემჭიდროვებულ მოსახლეობას და სამუშაოდ გასული მთიელიც თავისი სურვილის წინააღმდეგ, წმინდა ეკონომიკური აუცილებლობით, იძულებულია აქედან ოჯახიანად აიყაროს და ჩრდილოეთის მხარეში გადასახლდეს“ (იქვე, გვ. 47).

ონის მაზრიდან გადასახლების პირველი ოფიციალური შემთხვევა დაფიქსირებულია 1879 წელს, როდესაც ალაგირში (ამჟამინდელი რუსეთის ფედერაცია, რესპუბლიკა ალანია), გადასახლებულა ვინმე შიო ჯაფარიძე. შემდეგ 1880 წელს გადასახლებულთა რაოდენობა შესამჩნევად გაიზარდა, ხოლო 1882 წელს გადასახლებები ჯგუფურად გრძელდებოდა. აღნიშნულ წელს გადასახლების მიზეზებს წარმოადგენდა: გვალვა და შემდგომ წვიმები, მინდვრის თაგვების სიმრავლე და ა. შ. ყოველივე ამის გამო, უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე, 1882 წელი რაჭაში ყველაზე მოუსავლიანი აღმოჩნდა (Материалы для изучения экономического.., 1886). სულ 1879-1882 წლებში ალაგირში 120 კომლი გადასახლებულა, რომელთაგან 50 კომლი ვერ შეეგუა ადგილობრივ საცხოვრებელ პირობებს, ნაწილი დაიღუპა, ხოლო ნაწილი უკან დაბრუნდა. აღნიშნულ წყაროში ხაზგასმულია, რომ გაურკვეველია თუ ამ 50 კომლი-

ნახაზი 2

1879-1882 წლებში რაჭიდან ალაგირში გადასახლებულ კომლთა რაოდენობა



წყარო: Материалы для изучения экономического быта Государственных крестьян Закавказского края, т. II. Тифлис. 1886. С. 96.

დან რამდენი გახდა ავადმყოფობების ან ალაგირის ანორმალური ცხოვრების პირობების მსხვერპლი. ალაგირის მამასახლისის მონაცემებით (იქვე, გვ. 96), დარჩენილი 70 კომლის ჩასახლების სტატისტიკა ცალკეული წლების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურებოდა (იხ. ნახაზი 2).

რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოსა და იმპერატორის ბრძანებით, 1886 წლის 24 თებერვალს გადაწყდა ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის ზოგიერთი რეგიონისათვის საოჯახო სიების შედგენა. საოჯახო სიების შედგენის ძირითადი მიზანი იყო:

ა) სამხედრო სამსახურში გასაწვევ პირთა აღრიცხვა;

ბ) მოსახლეობის სოციალური და ეროვნული შემადგენლობის დაზუსტება;

გ) კომლთა საგადასახადო შესაძლებლობების განსაზღვრა.

აღნიშნული ღონისძიების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, რაჭის მაზრის მოსახლეობის საერთო რაოდენობა 64 255 ადამიანს შეადგენდა (იხ. ნახაზი 1). მათ შორის ონის უბანში ცხოვრობდა 30 200, ხოლო ამბროლაურის უბანში 34 055 ადამიანი (Свод статистических данных.., 1893).

1897 წლის რუსეთის იმპერიის საყოველთაო აღწერის მიხედვით რაჭის მაზრის მოსახლეობა 60 421 მცხოვრებს შეადგენდა **(Первая всеобщая перепись.., 1905)**. საგულისხმო ფაქტია, რომ 1886-1897 წლებში მამაკაცების რაოდენობა თითქმის მეოთხედით შემცირდა და 25764 შეადგინა (1897 წ.), ხოლო ქალების რაოდენობა 15%-ით გაიზარდა და 34657-ის ტოლი იყო. აღნიშნული აღწერის შემდგომ რუსეთის იმპერიაში მოსახლეობის საყოველთაო აღწერა არ ჩატარებულა.

ყოველწლიური ალმანახის – „კავკასიის კალენდარი“ ცალკეულ გამოცემებში იბეჭდებოდა დემოგრაფიული სახის ინფორმაცია, რომელიც შეიცავდა ცნობებს საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის შესახებ მაზრებისა და ქალაქების მიხედვით. აღნიშნული ალმანახის მიხედვით 1914 წელს რაჭაში 88 763 ადამიანი ცხოვრობდა (Кавказский Календарь.., 1914). დაიბადა 2308, გარდაიცვალა 1205 (იქვე, გვ. 216). 1914 წელს სოფ. ონში – 1858 (იქვე, გვ. 168), ხოლო სოფ. ამბროლაურში 298 ადამიანი ცხოვრობდა (იქვე, გვ. 88).

საქართველოში 1917 წელს ჩატარდა სასოფლო-სამეურნეო აღწერა, რომელიც შეიცავდა ინფორმაციას მოსახლეობის შესახებ. აღნიშ-

ნახაზი 3

მოსახლეობის დინამიკა რაჭაში, ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტებში, მოსახლეობის აღწერების მიხედვით



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

ნული აღწერის თანახმად, რაჭის მოსახლეობამ 84.6 ათასი შეადგინა (ფერაძე, 1921).

მეოცე საუკუნეში ჩატარებული აღწერების მიხედვით, სარწმუნო ინფორმაცია მოგვეპოვება რაჭის მოსახლეობის შესახებ. 1926 წლის სრულიად საკავშირო მოსახლეობის აღწერის თანახმად, რაჭის მაზრაში 28527 კაცი და 37043 ქალი აღირიცხა. სულ მოსახლეობის რაოდენობამ 65570 ადამიანი შეადგინა (Население Закавказья.., 1928). მოსახლეობის 1939, 1959, 1970, 1979 და 1989 წლების აღწერების თანახმად, მუდმივად კლებულობდა რაჭის მოსახლეობა, იდენტური პროცესები მიმდინარეობდა მის შემადგენელ ორივე მუნიციპალიტეტში (იხ. ნახაზი 3). 1939-1989 წწ. რაჭაში 54.1%-ით შემცირდა მოსახლეობის რაოდენობა. ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტებში კლებამ შესაბამისად 53.1 და 55.4% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან საბჭოთა იმპერიაში ამბროლაური ერთადერთი რაიონი იყო, სადაც მოსახლეობის ბუნებრივი კლება დაიწყო (ფრუიძე, 2014).

თანამედროვე დემოგრაფიული ვითარება რაჭაში

რაჭის მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობა 1990-2025 წწ. 31.3 ათასიდან – 15.3 ათასამდე (51.2%-ით) შემცირდა, რაც მნიშვნელოვნად აღემატებოდა საშუალო რესპუბლიკური კლების დონეს (აღნიშნული დროის მონაკვეთში, საქართველოს მოსახლეობის კლებამ 31.7% შეადგინა). მოსახლეობის განსაკუთრებით მასშტაბური კლება დაფიქსირდა ონის მუნიციპალიტეტში (58.7%), ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის რაოდენობრივი კლება 46.0%-ის ტოლი იყო.

2025 წლის მონაცემებით, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის რაოდენობა 10.0 ათასის ტოლი იყო, ხოლო ონის მუნიციპალიტეტში – გაცილებით ნაკლები და 5.2 ათასს შეადგენდა (იხ. ნახაზი 4).

რაჭის სოფლებში 1990-2025 წწ. მოსახლეობის რაოდენობა შემცირდა 53.6%-ით. ქალაქის მოსახლეობის კლებამ 43.9% შეადგინა. ონის მინიციპალიტეტში სოფლის მოსახლეო-

ბა 63.6%-ით შემცირდა, ხოლო ამბროლაურის მუნიციპალიტეტში – 48.8%-ით. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ქალაქის მოსახლეობის კლებამ 30.3% შეადგინა, ხოლო ონის მუნიციპალიტეტში – 51.4%. ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობის დინამიკაში მიმდინარე ნეგატიური პროცესები ასახულია ნახაზზე 5 (იხ. ნახაზი 5).

ნახაზი 4

მოსახლეობის დინამიკა რაჭაში, ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტებში 1990-2025 წლებში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

ნახაზი 5

ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტების მოსახლეობის დინამიკა განსახლების ფორმების მიხედვით 1990-2025 წლებში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

შობადობა

გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში მომხდარ ცნობილ მოვლენებს შედეგად უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი მოჰყვა, რის გამოც გაუარესდა ყველა დემოგრაფიული პარამეტრი. აღნიშნული მოვლენა მეტ-ნაკლებად საქართველოს ყველა რეგიონზე სხვადასხვა მასშტაბით აისახა.

რაჭაში შობადობის ზოგადი კოეფიციენტების მნიშვნელობები, საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებელთან შედარებით, მნიშვნელოვნად დაბალი იყო (იხ. ნახაზი 6).

ნახაზი 6

შობადობის ზოგადი კოეფიციენტების დინამიკა რაჭაში და საქართველოში 1990-2024 წლებში



*** აქ და შემდგომ 1993 წელი გამოტოვებულია მუნიციპალიტეტების შესახებ, მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მონაცემების არარსებობის გამო.**

***წყარო:** კოეფიციენტები რაჭის შესახებ გაანგარიშებულია ავტორთა მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.*

ნახაზი 7

შობადობის ზოგადი კოეფიციენტების დინამიკა რაჭის ქალაქისა და სოფლის მოსახლეობაში 1990-2024 წწ.



***წყარო:** გაანგარიშებულია ავტორთა მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.*

რაჭაში 2024 წელს, ყოველ ათას მცხოვრებზე 7.8 ბავშვი დაიბადა, რაც 27.1%-ით ნაკლები იყო საქართველოში არსებულ (10.7‰) მაჩვენებელთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ საანალიზო დროის მონაკვეთში (1990-2024 წწ.), შობადობის ზოგადი კოეფიციენტი რაჭაში და საქართველოში დაახლოებით თანაბრად (შესაბამისად 37.9 და 37.4%-ით) შემცირდა.

რაჭის ქალაქის მოსახლეობის შობადობის ზოგადი კოეფიციენტების მნიშვნელობები, 1990-2022 წწ. ყოველთვის აღემატებოდა სოფლის მოსახლეობის მაჩვენებლებს. საანალიზო დროის პერიოდში შეიმჩნეოდა მათი დაახლოების ტენდენცია (იხ. ნახაზი 7).

აღსანიშნავია, რომ 1994-2009 წლებში რაჭის სოფლებში დაფიქსირებული შობადობის ზოგადი კოეფიციენტების დაბალი მნიშვნელობები (ქალაქის მოსახლეობის იდენტურ მაჩვენებლებთან შედარებით), უმთავრესად გამოწვეულია დაბადებულთა მცირე აბლოსუტური რაოდენობით და ქალაქის მოსახლეობასთან შედარებით, სოფლის მოსახლეობის დიდი რაოდენობით. ასევე, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ 1990-იან წლებში და მის შემდგომ ცალკეულ წლებში, დემოგრაფიული მოვლენების სტატისტიკური აღრიცხვიანობის სფეროში საქართველოში არსებობდა ნაკლოვანებები, რაც არაერთხელ აღნიშნულა სპეციალისტების მიერ (მელაძე და წულაძე, 1997; Badurashvili, McKee et all, 2001; Meladze, 2002; Meladze, 2004; Kohler, Elizbarashvili et all, 2017). მსგავსი ფაქტები კიდევ უფრო საგრძნობია ქალაქ-სოფლის ჭრილში მუნიციპალიტეტების დონეზე, რის გამოც ბუნებრივი მოძრაობის მასალების ანალიზი ნაკლებადაა მიზანშეწონილი.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში შობადობის ზოგადი კოეფიციენტის კლებამ 1990-2024 წწ. 35.9% შეადგინა. კიდევ უფრო დიდი იყო შობადობის კლების მასშტაბი ონის მუნიციპალიტეტში. აღნიშნული დროის პერიოდში ამ უკანასკნელში შობადობის კოეფიციენტმა 38.3%-ით დაიკლო. მუნიციპალიტეტების შობადობის კოეფიციენტების ტენდენციების შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ონის მუნიციპალიტეტში შობადობის დონე უმთავრესად მცირედ აღემატებოდა ამბროლაურში არსებულ დონეს. ცალკეულ წლებში (1994 წ; 1996-2000 წწ; 2018-2019 წწ.) ამ უკანასკნელში, ონის მუნიციპალიტეტთან შედარებით, ოდნავ მაღალი იყო შობადობის დონე. 2024 წელს შობადობამ ყოველ ათას მცხოვრებზე ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ყოველ ათას მცხოვრებზე 7.2‰, ხოლო ონის მუნიციპალიტეტში 8.9‰ შეადგინა (იხ. ნახაზი 8).

ნახაზი 8

შობადობის ზოგადი კოეფიციენტების დინამიკა ამბროლაურის და ონის მუნიციპალიტეტებში 1990-2024 წლებში



წყარო: გაანგარიშებულია ავტორთა მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

შობადობის ზოგადი კოეფიციენტი წარმოადგენს შობადობის შეფასების უხეშ მაჩვენებელს, რომელიც დამოკიდებულია მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივ სტრუქტურაზე. სამწუხაროდ, რაჭის მასშტაბით არ მოგვეპოვება მონაცემები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა შობადობის პროცესის უფრო სიღრმისეული შესწავლა. მიუხედავად ამისა, იგი მაინც გვიჩვენებს მიმდინარე ზოგად ტენდენციებს, რომლებიც გასათვალისწინებელი და საყურადღებოა.

შობადობის პროცესის შედარებით დეტალური შესწავლის საშუალებას იძლევა შვილიანობის ინდექსი. მოსახლეობის 1989 და 2014 წლების აღწერების მონაცემების თანახმად, რაჭაში და მის მუნიციპალიტეტებში 20-49 წლის ასაკის ყოველ ათას ქალზე, შვილიანობის ინდექსის კლების ტენდენცია დაფიქსირდა (იხ. ნახაზი 9). აღნიშნული მოვლენა გაცილებით მასშტაბური იყო ონის მუნიციპალიტეტში (შვილიანობის ინდექსი შემცირდა 53 ერთეულით), კლებამ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში 47 ერთეული შეადგინა. 1989-2014 წწ. განხილული ინდექსი რაჭაში 50 ერთეულით შემცირდა. აღსანიშნავია, რომ რაჭაში და მის მუნიციპალიტეტებში აღნიშნული ინდექსების სიდიდეები, მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა საქართველოში დაფიქსირებული ინდექსების დონეს.

ცოცხლადობის ინდექსების ანალიზი გვიჩვენებს, რომ 1990-2024 წწ. რაჭაში დაფიქსირებული მაჩვენებლები, მნიშვნელოვნად აღემატებოდა საქართველოში არსებულს (იხ. ნახაზი 10). აღსანიშნავია, რომ განხილული წლების თანახმად, რაჭაში არ ხდებოდა თაობების განახლება (გარდაცვლილები ყოველთვის აღემატებოდნენ დაბადებულებს).

ცოცხლადობის ინდექსების მუნიციპალიტეტების მიხედვით ანალიზმა გვიჩვენა, რომ, უმეტეს შემთხვევაში, მათი მნიშვნელობები ამბროლაურის მუნიციპალიტეტში უფრო მაღალი იყო ონის მუნიციპალიტეტთან შედარებით (იხ. ნახაზი 11). 2000 წელს, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ინდექსის ერთგვარი ამოვარდნა საერთო ტენდენციიდან, გარდაცვლილთა სტატისტიკური აღურიცხაობით უნდა აიხსნას. აღნიშნულ წელს მუნიციპალიტეტში 48 გარდაცვალების შემთხვევა აღირიცხა, ხოლო მის მომიჯნავე წლებში – 1999 წელს – 152, ხოლო 2001 წელს – 284. გარდაცვალებათა რაოდენობების ასეთი მნიშვნელოვანი სხვაობები დროის მოკლე ინტერვალში ნაკლებად შესაძლებელია.

ნახაზი 9

შვილიანობის ინდექსების დინამიკა 1989 და 2014 წლების მოსახლეობის აღწერების მიხედვით



წყარო: გაანგარიშებულია ავტორთა მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

ნახაზი 10

ცოცხლადობის ინდექსების დინამიკა რაჭაში და საქართველოში 1990-2024 წლებში



წყარო: გაანგარიშებულია ავტორთა მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

ნახაზი 11

ცოცხლადობის ინდექსების დინამიკა ამბროლაურის და ონის მუნიციპალიტეტებში 1990-2024 წლებში



წყარო: გაანგარიშებულია ავტორთა მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

მოკვდაობის პროცესების მიმდინარეობას კარგად ხსნის დემოგრაფიული გადასვლის თეორია (Landry, 1934; Notestein, 1945; Гуджабидзе, 1979; 1990), რომელიც ემყარება შობადობისა და მოკვდაობის სტადიურ განვითარებას. ვინაიდან ჩვენ განვიხილავთ მოკვდაობის

სფეროში რაჭაში მიმდინარე პროცესებს, შევეხებით აღნიშნული თეორიის მიერ მოკვდაობის მიმდინარეობის საკითხებს. აღნიშნული თეორიის 5-სტადიანი მოდელის მიხედვით, პირველ სტადიაში, რომელიც ინდუსტრიალურ რევოლუციამდე მსოფლიოს უმეტეს ნაწილზე ვრცელდებოდა, მაღალი იყო მოკვდაობა. მეორე სტადიაში მედიცინის გაუმჯობესება ამცირებს მოკვდაობას, განსაკუთრებით ბავშვებში. მე-3 სტადიაში მოკვდაობა აღწევს დაბალ დონეს, რის შემდგომ – მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების გამო – იწყება მოკვდაობის მატება. მე-4 სტადიაში მოკვდაობისა და შობადობის დონე დაახლოებით 12-13‰-ს ფარგლებშია (Grover, https://populationeducation.org), მე-5 სტადია მეცნიერებაში რეგრესის სტადიის სახელწოდებითაა ცნობილი. აღნიშნულ სტადიაში მოკვდაობა აჭარბებს შობადობას, მოსახლეობის საერთო რაოდენობაში დიდია ხანდაზმული ადამიანების წილი.

დემოგრაფიული განვითარების თვალსაზრისით თანამედროვე საქართველო დემოგრაფიული გადასვლის მეოთხე და მეხუთე ფაზებს შორის იმყოფება (მელაძე, 2024). რაც შეეხება რაჭას – საქართველოს ეს ისტორიული პროვინცია, დემოგრაფიული გადასვლის მეხუთე – რეგრესულ ფაზაში უკვე შესულია, რაზეც მეტყველებს ბუნებრივი მატების უარყოფითი მაჩვენებლები და მოსახლეობის მაღალი დემოგრაფიული დაბერების მნიშვნელობები.

მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტების მაჩვენებლები რაჭაში, ყოველთვის საგრძნობლად აღემატებოდნენ საქართველოში დაფიქსირებულ კოეფიციენტებს (იხ. ნახაზი 12).

გამონაკლისს წარმოადგენდა 1996 წელი, როდესაც აღნიშნული კოეფიციენტი მცირედ (0.9 პუნქტით) სჭარბობდა საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებელს და 2000 წელს რაჭაში დაფიქსირებული კოეფიციენტი, რომელიც 0.2 პუნქტით ნაკლები იყო საქართველოს მაჩვენებელზე. აღნიშნული შემთხვევები გარდაცვლილთა სტატისტიკური აღურიცხაობით უნდა აიხსნას, ვინაიდან დემოგრაფიული გადასვლის უნივერსალური თეორიის მიხედვით, აღნიშნული გადასვლის იმ ფაზაში რომელშიც იმყოფებოდა რაჭა, შეუძლებელია მოკვდაობის კოეფიციენტების მსგავსი ფლუქტუაცია. 2021 წელს COVID-19 მსოფლიო პანდემიის გამო, რაჭაში მოკვდაობის კოეფიციენტის უპრეცენდენტოდ მაღალი მნიშვნელობები დაფიქსირდა, რის შემდგომ იგი შემცირდა, მიუხედავად ამისა, მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი 2024 წელს კვლავ მაღალი იყო და 19.8‰-ს შეადგენდა. ეს უკანასკნელი 1.7-ჯერ აღემატებოდა საშუალო რესპუბლიკურ დონეს.

ნახაზი 12

მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტების დინამიკა რაჭაში და საქართველოში 1990-2024 წლებში



წყარო: კოეფიციენტები რაჭის შესახებ გაანგარიშებულია ავტორთა მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

საქართველოსთან შედარებით მოკვდაობის მაღალი მაჩვენებლები, უმთავრესად რაჭის მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების ძალიან მაღალი დონით უნდა აიხსნას. 2014 წლის აღწერის თანახმად, რაჭის მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების დონე 32.3%-ს შეადგენდა, აღნიშნული მაჩვენებელი ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტებში შესაბამისად 33.8 და 30.1%-ის ტოლი იყო, იდენტური მაჩვენებელი საქართველოში 14.3%-ს შეადგენდა. გაეროს მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების სკალის მიხედვით, თუკი მოსახლეობის საერთო რაოდენობაში 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი 7%-ზე მეტია, მოსახლეობა დემოგრაფიულად დაბერებულად მიიჩნევა. რაჭაში დემოგრაფიული დაბერების დონე 4.6-ჯერ აღემატებოდა გაეროს სკალაში მოცემულ დემოგრაფიული დაბერების ნიშნულს და 2.3-ჯერ მეტი იყო საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებელზე.

განსახლების ფორმების მიხედვით მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტების ანალიზმა გვიჩვენა, რომ მათი სიდიდეები რაჭის ქალაქებში 2010-2022 წწ. ნაკლები იყო სოფლებში დაფიქსირებულ მაჩვენებლებზე. უკანასკნელ წლებში (2023 და 2024) შეინიშნებოდა განხილული მაჩვენებლების დაახლოების ტენდენცია (იხ. ნახაზი 13).

აღსანიშნავია, რომ ცალკეულ წლებში გარდაცვლილთა აღრიცხვიანობაში უზუსტობები შეინიშნება. ა.მ. 2001, 2002 და 2004 წლებში არაბუნებრივად მაღალია მნიშვნელობები ქალაქის მოსახლეობაში.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში 1990-1997 წწ. დაფიქსირებული კოეფიციენტები აღემატებოდა ონის მუნიციპალიტეტის მაჩვენებლებს. 1998-2009 წწ. კი საწინააღმდეგო მოვლენა დაფიქსირდა. 2010 წლიდან რიგ შემთხვევებში ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მაჩვენებლები აღემატებოდა ონის მუნიციპალიტეტის მაჩვენებლებს, ცალკეულ წლებში კი საპირისპირო ფაქტები ფიქსირდებოდა. 2021 წლის შემდგომ ორივე მუნიციპალიტეტში შეინიშნებოდა კოეფიციენტების შემცირების ტენდენცია, რაც, გარკვეულწილად, COVID-19 მსოფლიო პანდემიის შესუსტებით უნდა აიხსნას, მიუხედავად ამისა, მათი მნიშვნელობები 2024 წელს, მაინც მაღალი იყო და დაახლოებით 20‰-ს ფარგლებში იმყოფებოდა (იხ. ნახაზი 14).

ნახაზი 13

მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტების დინამიკა რაჭაში განსახლების ფორმების მიხედვით 1990-2024 წლებში



წყარო: გაანგარიშებულია ავტორთა მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

ნახაზი 14

მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტების დინამიკა ამბროლაურის და ონის მუნიციპალიტეტებში 1990-2024 წლებში



წყარო: გაანგარიშებულია ავტორთა მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

ნახაზი 15

ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტების დინამიკა რაჭაში და საქართველოში 1990-2024 წლებში



წყარო: კოეფიციენტები რაჭის შესახებ გაანგარიშებულია ავტორთა მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

თავიანთი მეტად დაბალი მნიშვნელობების გამო, ნაკლებად სარწმუნოა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 1999-2000 წლების და ონის მუნიციპალიტეტის 1996-1997 წლების მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტების სიდიდეები.

ნახაზი 16

ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტების დინამიკა რაჭაში განსახლების ფორმების მიხედვით 1990-2024 წლებში



წყარო: გაანგარიშებულია ავტორთა მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

ბუნებრივი მატება

მოსახლეობის ბუნებრივი მატების კოეფიციენტი რაჭაში 1990-2024 წლებში ყოველთვის უარყოფითი მნიშვნელობით ხასიათდებოდა, რაც ნიშნავს, რომ გარდაცვლილები აღემატებოდნენ დაბადებულებს. დაფიქსირებული ფაქტი რაჭაში მოსახლეობის დეპოპულაციაზე მეტყველებს. პროვინციაში არსებული კოეფიციენტების მნიშვნელობები, ყოველთვის ჩამორჩებოდნენ საქართველოში არსებულ იდენტურ კოეფიციენტებს (იხ. ნახაზი 15).

განსახლების ფორმების მიხედვით, რაჭის მოსახლეობის ბუნებრივი მატების კოეფიციენტების შედარებითმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ გარდა ცალკეული წლებისა (2001, 2004, 2005, 2023 წლები), სოფლის მოსახლეობაში გაცილებით მძიმე მდგომარეობა იყო ქალაქის მოსახლეობასთან შედარებით, რაც სოფლებში განხილული კოეფიციენტების უფრო დაბალ უარყოფით მნიშვნელობებში გამოიხატებოდა (იხ. ნახაზი 16). გარდა ცალკეული წლებისა, ქალაქის მოსახლეობაში, ასევე, უარყოფითი იყო მოსახლეობის ბუნებრივი მატება – გამონაკლისს წარმოადგენდა რამდენიმე წელი (1996-1998 და 2013). 1990-2024 წლებში განხილული კოეფიციენტის საკმაოდ საგრძნობი ფლუქტუაცია, დემოგრაფიული შემთხვევების სტატისტიკურ აღრიცხვაში არსებული ნაკლოვანებებით უნდა აიხსნას. მიუხედავად ამისა, განხილული კოეფიციენტები ჯდება ზოგადი დემოგრაფიული განვითარების ტენდენციებში.

ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტებში არსებულ შობადობისა და მოკვდაობის დონეების თანაფარდობიდან გამომდინარე, 1990-2024 წლებში მოსახლეობის ბუნებრივი მატება მუდმივად უარყოფითი იყო (გამონაკლისს წარმოადგენდა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში 2000 წელს დაფიქსირებული კოეფიციენტის დადებითი მნიშვნელობა, რაც გარდაცვლილთა აღურიცხაობით იყო გამოწვეული). 1990-1997 წწ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში გაცილებით დაბალი იყო მოსახლეობის ბუნებრივი მატების კოეფიციენტი. 1998-2001 წწ. მდგომარეობა დიამეტრალურად შეიცვალა (იხ. ნახაზი 17).

განხილული მაჩვენებელი ამბროლაურის მუნიციპალიტეტში 2002 წლიდან – რიგ წლებში დაბალი იყო ონის მუნიციპალიტეტთან შედარებით, რიგ შემთხვევებში კი ონის მუნიცი-

პალიტეტში ფიქსირდებოდა უფრო დაბალი მაჩვენებლები. 2021 წლის შემდგომ ორივე მუნიციპალიტეტში შეიმჩნევა უარყოფითი ბუნებრივი მატების კოეფიციენტის შემცირების ტენდენცია, მიუხედავად ამისა, მისი მნიშვნელობები ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტებში დაბალი იყო და 2023 წელს შესაბამისად -12.6 და -10.8‰-ს შეადგენდა. იგივე კოეფიციენტის საშუალო რესპუბლიკური მაჩვენებელი -1.2‰-ს ტოლი იყო.

ნახაზი 17

მოსახლეობის ბუნებრივი მატების კოეფიციენტების დინამიკა ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტებში 1990-2024 წლებში



წყარო: გაანგარიშებულია ავტორთა მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

ნახაზი 18

რაჭის მოსახლეობის მიგრაციული სალდო, 1995-2024 წლები



წყარო: გაანგარიშებულია ავტორთა მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

ბუნებრივი მოძრაობის სფეროში, რაჭის მუნიციპალიტეტებში ცალკეულ წლებში არსებული უზუსტობების გამო (რაზეც უკვე გვქონდა საუბარი), რაჭის მასშტაბით მიგრაციული სალდოს გაანგარიშებას მოვახდენთ 1995-2024 წლების პერიოდისათვის.

გაანგარიშებებმა გვიჩვენა, რომ ზემოაღნიშნული დროის მონაკვეთში უარყოფითმა მიგრაციულმა სალდომ რაჭაში 9.3 ათასი შეადგინა. მიგრაციის თვალსაზრისით განსაკუთრებით მძიმე იყო 1995-2000 წწ., როდესაც რაჭის მოსახლეობის უარყოფითმა მიგრაციულმა სალდომ თითქმის 8.0 ათასი შეადგინა. 2014 წელს რაჭაში მიგრაციის დადებითი სალდო დაფიქსირდა, ხოლო 2017 წლიდან კი მისი მნიშვნელობა მუდმივად დადებითი იყო (იხ. ნახაზი 18).

საქართველოს პარლამენტმა 2015 წელს მიიღო კანონი „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“, რომელიც ეტაპობრივად ამოქმედდა. კანონის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა რაჭაში მოსახლეობის დამაგრება და, განსაკუთრებით, ახალგაზრდების რაჭაში დაბრუნების ხელშეწყობა. მიუხედავად იმისა, რომ რაჭაში უკანასკნელ წლებში დადებითი მიგრაციული სალდო ფიქსირდება, რთული სათქმელია თუ რამდენად განხორციელდა კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები, ვიდრე არ გამოქვეყნდება 2024 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მასალები მუნიციპალიტეტების ასაკობრივი სტრუქტურის შესახებ.

რაჭის მოსახლეობის დემოგრაფიული პერსპექტივები

ოფიციალური დემოგრაფიულ-სტატისტიკური მონაცემების 1990-2024 წწ. მოსახლეობის რაოდენობის, 1990-2023 წწ. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის და ირიბი მეთოდით გაანგარიშებული მიგრაციული სალდოს საფუძველზე ჩატარებული გაანგარიშებების მიხედვით, მიღებულ იქნა რაჭის მოსახლეობის სამი პროგნოზული ვარიანტი: დაბალი, საშუალო და მაღალი. მსგავსი გაანგარიშებები, აგრეთვე, ჩატარდა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის მიხედვით.

პროგნოზული გაანგარიშებების დაბალი ვარიანტის თანახმად, არსებული სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული ტენდენციების შენარჩუნების შემთხვევაში, 2024-2044 წლებში რაჭის მოსახლეობა 64.8%-ით შემცირდება, პროგნოზის საშუალო და მაღალი ვარიანტების თანახმად კი 45.7 და 26.6%-ით კლებაა მოსალოდნელი (იხ. ცხრილი 1).

პროგნოზის დაბალი, საშუალო და მაღალი ვარიანტების მიხედვით, 2024-2044 წლებში მოსახლეობის კლების მასშტაბი გაცილებით მაღალი იქნება სასოფლო განსახლებებში. მოსახლეობის მნიშვნელოვანი კლებაა მოსალოდნელი საქალაქო განსახლებებშიც.

აბსოლუტური მონაცემების მიხედვით, პროგნოზის დაბალი ვარიანტის თანახმად, რაჭის მოსახლეობა 2044 წლისათვის, 5.4 ათას მცხოვრებამდე შემცირდება. პროგნოზის საშუალო და მაღალი ვარიანტების თანახმად კი შესაბამისად 8.4 და 11.3 ათასამდე (იხ. ნახაზი 19).

ქალაქის მოსახლეობა 2024-2044 წლებში 2.2-ჯერ შემცირდება და 2044 წელს 2.2 ათასის ტოლი იქნება. პროგნოზის საშუალო და მაღალი ვარიანტების მიხედვით, აღნიშნულ წელს ქალაქის მოსახლეობა შესაბამისად 2.9 და 3.7 ათასის ტოლი იქნება (იხ. ნახაზი 20).

სოფლის მოსახლეობის პროგნოზულმა გაანგარიშებებმა გვიჩვენა, რომ საპროგნოზო დროის მონაკვეთში პროგნოზის დაბალი ვარიანტის მიხედვით მოსახლეობის 3.1-ჯერ კლებაა მოსალოდნელი. საშუალო და მაღალი ვარიანტების მოხედვით კი – 2.0 და 1.4-ჯერ. რაჭის სასოფლო განსახლებებში, პროგნოზული გაანგარიშებების დაბალი ვარიანტის მიხედვით, 2044 წელს მოსახლეობის რაოდენობის 3.6 ათასამდე შემცირებაა მოსალოდნელი, ხოლო საშუალო და მაღალი ვარიანტების თანახმად კი შესაბამისად 5.6 და 7.6 ათასით კლება (იხ. ნახაზი 21).

მომავალში, სავარაუდოდ, როგორც რაჭის, ასევე მისი ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობის რაოდენობრივი ცვლილებები, პროგნოზის საშუალო და მაღალ ვარიანტებს შორის შუალედშია მოსალოდნელი.

ცხრილი 1

რაჭის მოსახლეობის პროცენტული ცვლილება განსახლების ფორმების მიხედვით 2024-2044 წლებში (პროცენტი)

	პ რ ო გ ნ ო ზ ი		
	დაბალი	საშუალო	მაღალი
რაჭა	-64.8	-45.7	-26.6
ქალაქის მოსახლეობა	-53.8	-35.1	-16.4
სოფლის მოსახლეობა	-67.4	-48.8	-30.2

ნახაზი 19

რაჭის მოსახლეობის 2020-2044 წლების პროგნოზი (ათასი)



ნახაზი 20

ქალაქის მოსახლეობის 2020-2044 წლების პროგნოზი (ათასი)



ნახზი 21

სოფლის მოსახლეობის 2020-2044 წლების პროგნოზი



	2024	2029	2034	2039	2044
დაბალი	10.9	8.3	6.2	4.7	3.6
საშუალო	10.9	9.1	7.7	6.5	5.6
მაღალი	10.9	10.0	9.1	8.3	7.6

რაჭაში მოსახლეობის კლების ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორებია: შობადობის კლება, რომელიც მნიშვნელოვანწილად განპირობებულია რეპროდუქციული ასაკის (15-49 წწ.) ქალების მცირე რაოდენობით. ჯერ კიდევ 1989 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემების თანახმად, აღნიშნული კატეგორიის ქალების წილი რაჭის მოსახლეობის საერთო რაოდენობაში 32.4%-ს შეადგენდა, 2014 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით კი 27.9%-მდე შემცირდა. აღნიშნული რიცხვი მშობადი კონტინგენტის დაბალ პოტენციალზე მიგვითითებს. მოსახლეობის კლების ხელშემწყობი ფაქტორია მოკვდაობის მაღალი მაჩვენებლები, რაც მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების მაღალი დონითაა განპირობებული. მოსახლეობის უკანასკნელი აღწერის მიხედვით – 2014 წელს, 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი 28.3% პროცენტს შეადგენდა, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო საქართველოს რეგიონებს შორის. ეს უკანასკნელი, 4-ჯერ და მეტჯერ აღემატებოდა გაეროს დემოგრაფიული დაბერების სკალით განსაზღვრულ დემოგრაფიული დაბერების დონეს.

დასკვნა

- რაჭის მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობა 1990-2025 წწ. 31.3 ათასიდან – 15.3 ათასამდე (51.2%-ით) შემცირდა. განსაკუთრებით მასშტაბური კლება დაფიქსირდა ონის მუნიციპალიტეტში (58.7%), ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის რაოდენობრივი კლება 46.0%-ის ტოლი იყო.
- უახლოესი მონაცემებით, რაჭაში შობადობის ზოგადი კოეფიციენტის სიდიდე, ორჯერ ნაკლებია მოსახლეობის მარტივი აღწარმოების დონეზე. ძალიან მაღალია მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის მნიშვნელობა.
- შობადობისა და მოკვდაობის სფეროებში არსებული ნეგატიური ტენდენციები, მოსახლეობის ბუნებრივი მატების ძალიან დაბალ უარყოფით მაჩვენებლებს განაპირობებს.
- მუნიციპალიტეტების ქალაქ-სოფლის ჭრილში ანალიზისათვის უნდა მოწესრიგდეს დემოგრაფიული შემთხვევების მიმდინარე აღრიცხვის სტატისტიკური მონაცემები.

- რაჭაში პროგრესულად მიმდინარეობს მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების პროცესი.
- საქართველოს პარლამენტმა 2015 წელს მიიღო კანონი „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“, რომელიც ეტაპობრივად ამოქმედდა. კანონის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა რაჭაში მოსახლეობის დამაგრება და განსაკუთრებით ახალგაზრდების რაჭაში დაბრუნების ხელშეწყობა. 2017 წლიდან რაჭაში მუდმივად ფიქსირდება დადებით მიგრაციული სალდო. თუ რა ასაკის მოსახლეობას მოიცავს დადებით მიგრაციული სალდო რთული გასარკვევია, ვიდრე არ გამოქვეყნდება 2026 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მასალები.
- მოსახლეობის რაოდენობის პროგნოზის სამივე ვარიანტის მიხედვით (დაბალი, საშუალო და მაღალი), რაჭაში 2024-2044 წლებში მოსალოდნელია მოსახლეობის რაოდენობის კლება.
- არსებული დემოგრაფიული ტენდენციების შენარჩუნების შემთხვევაში, უახლოეს მომავალში რაჭაში მოსალოდნელია დემოგრაფიული კოლაფსი, რომელსაც სახელმწიფოს მხრიდან გადამჭრელი ღონისძიებების გატარების გარეშე, გამოუსწორებელი შედეგები მოჰყვება.

კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (გრანტის ნომერი FR-23-13630, პროექტის სახელწოდება „რაჭის (ჩრდილოეთ საქართველოს ერთ-ერთი მხარის) სოფლის დასახლებების დეპოპულაცია: სივრცით-დროითი ცვლილებები და თანამედროვე პრობლემები“.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. 1. თბ., 1962. გვ. 131.
2. ელიზბარაშვილი ნ., მეესენი ჰ., ხოეციანი ა., მელაძე გ., კოლერი თ. მთიანი რეგიონების მდგრადი განვითარება და რესურსების მართვა (სახელმძღვანელო). თბ., 2018. გვ. 12.
3. თოთაძე ა. რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მოსახლეობა. თბ., 2013. გვ. 13-14.
4. მაკალათია ს. მთის რაჭა. თბ., 1987. გვ. 44-45.
5. მაჭარაძე ვ. მასალები XVIII საუკუნის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. ნაწილი III, ნაკვეთი I, თბ., 1988. გვ. 54, 155.
6. მელაძე გ. შობადობის გლობალური პროცესები დემოგრაფიული გადასვლის თეორიის ფონზე // საქართველოს ალ. ჯავახიშვილის სახელობის გეოგრაფიული საზოგადოების შრომები. ახალი სერია. IV (XXII). თბ., 2024. გვ. 160.
7. მელაძე გ., ელიზბარაშვილი ნ. ზემო რაჭის (ონის რაიონის) თანამედროვე დემოგრაფიული კრიზისი // საქართველოს გეოგრაფია, №6-7, 2008. გვ. 6.
8. მელაძე გ., წულაძე გ. საქართველოს მოსახლეობა და დემოგრაფიული პროცესები. თბ., 1997.
9. საქართველოს ეთნოგრაფია / ეთნოლოგია. რ. თოფჩიშვილის საერთო რედაქციით. თბ., 2010. გვ. 128.
10. ფერაძე გ. საქართველოს მოსახლეობა 1917 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით (დემოგრაფიული მიმოხილვა). საქართველოს სტატისტიკის მოამბე, №1. თბ., 1921. გვ. 12-27.
11. ფრუიძე ლ. რაჭის გადარჩენა შესაძლებელია, თუ ხელისუფლება მეცნიერულ აზრს გაითვალისწინებს. https://www.georoyal.ge/?MTID=5&TID=44&id=2427
12. ჟაკ ფრანსუა გამბა. მოგზაურობა ამიერკავკასიაში. თბ., 1987. გვ. 214.
13. ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტ. VIII. თბ., 1957. გვ. 301.
14. ჯაოშვილი ვ. საქართველოს მოსახლეობა. თბ., 1996. გვ. 48, 65, 74, 95.
15. Акты собранние Кавказскою археографическою коммиссиею. Т. VI, Ч. I. Тифлись, 1874. С. 531.

16. Гуджабидзе В.В. Демографический переход и старение населения в Грузии. // Актуальные проблемы развития демографических процессов в Грузии. Тб., 1990.
17. Гуджабидзе В.В. Пространственно-временная диффузия демографического перехода и прогнозирование естественного движения населения. // Проблемы регионального демографического планирования. Душанбе, 1979.
18. Кавказский Календарь на 1915 годъ. Тифлисъ, 1914. С. 88, 168, 216, 241.
19. Материалы для изучения экономического быта Государственных крестьян Закавказского края, т. II. Тифлис. 1886. С. 93-94; 96.
20. Население Закавказья. Всесоюзная перепись населения 1926 года. Краткие итоги. Табл. III. Тифлис, 1928 г. С. 5.
21. Первая всеобщая перепись населения Российской империи 1897 года. Кутайсская губерния. Т. 66. СПб., 1905. С.1.
22. Свод статистических данных о населении Закавказскаго края, извлеченных из посемейных списков 1886 г. Тифлисъ, 1893. С. 125-126.
23. Badurashvili .I, McKee M., Tsuladze G., Mesle F., Vallin J., and Shkolnikov V. Where there are no data: what has happened to life expectancy in Georgia since 1990? // Public Health (2001) 115, 394–400. https://en.booksc.org/book/18294069/2b187b
24. Grover D. What is the Demographic Transition Model? https://populationeducation.org/what-demographic-transition-model/
25. Klaproth Heinrich Julius von. Reise in den Kaukasus und nach Georgien 1807-1808. Berlin, 1814. citirebulia – ციტ. კაკაბაძე ს. მოსახლეობის რიცხვი საქართველოში XV-XVIII საუკუნეების სიგრძეზედ // კვლევა-ძიებანი საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ. თფილისი, 1920. გვ. 46.
26. Kohler T., Elizbarashvili N., Meladze G., Svanadze D., Meessen H. The demographic crisis in Racha, Geogria: depopulation in the Central Caucasus mountains // Mountain research and development, 37 (4), 2017. P. 419.
27. Landry A., La Revolution demographique, Paris, 1934.
28. Meladze G. Population development in Georgia: long-term view // Population date harmonization and basic demographic time series on Armenia, Azerbaijan and Georgia. Expert meeting-Tallinn, May 9-12, 2002.
29. Meladze G. Problems of demographic statistics in Georgia in the period after independence // Place et role statistiques de population en situation post-coloniale. International conference, Paris 9-10, XII, 2004.
30. Notestein F. Population: the long view. // Food for the world, ed. By T.W. Schultz., Chicago, 1945.